საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/205 "18" ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ჯავახიშვილის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[4] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. მაია ჯავახიშვილი არ იქნეს გამწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ონის მუნიციპალიტეტში ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ახმეტის მუნიციპალიტეტში თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, აბაშის მუნიციპალიტეტში სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი

მოსამართლის, სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ქედას მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლისა და შუახევის მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე